საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030189038788520

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/11328 **18 / სექტემბერი / 2020 წ.**

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორს,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის მოადგილეს
ბატონ გიორგი წოწკოლაურს

ბატონო გიორგი,

გეგზავნებათ, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილის 2020 წლის 14 სექტემბრის N06/3837 წერილი, რომელიც ეხება „ტუბერკულოზისა და C ჰეპატიტის კოინფექციის ეპიდემიოლოგია საქართველოში“ კვლევაში მხარდაჭერას.

აღნიშნულ კვლევას ახორციელებს ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრთან, აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებთან და ემორის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

კვლევის ფარგლებში შეისწავლება C ჰეპატიტის მოვლის კასკადი ტუბერკულოზისა და C ჰეპატიტის კოინფექციის მქონე პაციენტებში, ასევე შეფასდება, ზრდის თუ არა C ჰეპატიტი ტუბერკულოზის პროგრესირებისა და რეციდივის რისკს და როგორია სიკვდილობა კოინფიცირებულ პაციენტებში.

კვლევის ფარგლებში პაციენტთა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის შესწავლის მიზნით, გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს, რომ წერილის ავტორს აღმოუჩინოს დახმარება შესაბამის ბაზებთან წვდომაში ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, ადამიანის პერსონალური მონაცემების დაცვის გათვალისწინებით.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრის პირველი მოადგილე თამარ გაბუნია